დამტკიცებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2011 წლის 18 აპრილის N81/3 დადგენილებით

რეგისტრაციის N _____

მიღების თარიღი: __/__ /__

„სასამართლოს მეგობრის“ მოსაზრება

„სასამართლოს მეგობრის“ მოსაზრების ფორმასთან დაკავშირებით, კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე +995 422-27-00-99 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მისამართზე: const@constcourt.ge; ვებგვერდი: www.constcourt.ge

თუ რომელიმე პუნქტის შესავსებად გამოყოფილი ადგილი არ იქნება საკმარისი, შეგიძლიათ ფორმას დამატებითი გვერდი დაურთოთ. ყოველ დამატებით გვერდზე გადაიტანეთ იმ პუნქტის სათაური, რომელსაც ავსებთ. წერის დასრულების შემდეგ ფორმა დანომრეთ.

I. ფორმალური ნაწილი

1. მოსაზრების ავტორის რეკვიზიტები:		
1. გიორგი მელაძე 2. გიორგი გიორგაძე 3. გიორგი ნონიაშვილი	01006007146 01005006133 01030036897	დიღმის მასივი, მე-4 კვრტ. მე-16 კორპ. ბინა 51 არჩილ ქურდიანის ქ. 2 ნინოშვილის ქ.44
სახელი, გვარი/სახელწოდება	პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი	მისამართი
1. 2. 3.	574011705 595364400 597 955 055	giomeladze@gmail.com giorgigiorgadze81@yahoo.com g.noniashvili@gmail.com
ალტერნატიული მისამართი	ტელეფონი	ელექტრონული ფოსტა

2. საქმის დასახელება, რომელთან დაკავშირებით არის შედგენილი მოსაზრება [შენიშვნა 1]

საქართველოს უზენაესი საასმართლოს სისხლის სამართლის პალატის წარგინება #608, #609

შენიშვნა 1 - ქვემოთ მოცემულ ველში უნდა მიეთითოს კონსტიტუციური სარჩელის ნომერი, მოსარჩელისა და მოპასუხის დასახელება ან/და სხვა ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც სასამართლოსთვის ცხადი გახდება, თუ რომელ საქმესთან დაკავშირებითაა მომზადებული მოსაზრება.

II. „სასამართლოს მეგობრის“ მოსაზრება [შენიშვნა 2]

სასამართლო მეგობრის პოზიცია საქმეზე: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის კონსტიტუციური წარდგინება (#608, #609)
სასამართლო მეგობრის პოზიცია მომზადებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მკვლევარების მიერ - 15.05.2015

კვლევაზე მუშაობდნენ:
გიორგი გიორგაძე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი
გიორგი მელაძე - ილიას სახელმწიფო უნიევრსიტეტის ასოცირებული პროფესორი
გიორგი ნონიაშვილი - ილიას სახელმწიფო უნიევრსიტეტის კონსტიტუციური კვლევების ცენტრის მკვლევარი

ძირითადი საკითხი: საერთო სასამართლოს უფლება გაცდეს მხარეთა მიერ წარმოდგენილ არგუმენტებს სისხლის სამართლის წარმოებისას შეჯიბრებით პროცესში

„Nullum crimen, nulla poena sine praevia lege poenali“
Paul Johann Anselm Ritter von Feuerbach, ბავარიის სისხლის სამართლის კოდექსი, 1813 წელი

სადავო ნორმა:

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 306.4:

„საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში“

2. საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი.

კონსტიტუციის მუხლები, რომელთა მიმართებაშიც გაასაჩივრა მხარემ სადავო ნორმა:

საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 40.3:
„დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.“

შენიშვნა 2 - ქვემოთ მოცემულ ველში უნდა მიეთითოს „სასამართლოს მეგობრის“ არგუმენტები და მის მიერ მოყვანილი მტკიცებულებები რომლებითაც ის ასაბუთებს საქმესთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებას.

საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 42.4:
„არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის.“

სასამართლო მეგობრის პოზიცია

კონსტიტუციური წარდგინების საფუძელი:
თბილისის საქალაქო სასამართლო 2013 წლის 18 დეკემბრის განაჩენით ი.ჯ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 2381 მუხლი მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. მოცემული დროისთვის 2381 მუხლის შინაარსი იყო შემდეგი:
მუხლი 2381. 21 წლის ასაკს მიუღწეველი ან ნასამართლობის მქონე ან/და ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარება
1. 21 წლის ასაკს მიუღწეველი ან ნასამართლობის მქონე ან/და ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარება, –
ისჯება ჯარიმით.
2. იგივე ქმედება, ჩადენილი:
ა) არაერთგზის;
ბ) იმის მიერ, ვინც ნასამართლევი იყო განზრახი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.“.

მუხლი შეიცვალა 2013 წლის 11 დეკემბერს და ცვლილება ძალაში შევიდა 2014 წლის 8 იანვარს. შეცვლილი მუხლის შინაარსი გახდა შემდეგი:
„„მუხლი 2381. ცივი იარაღის ტარება
1. ცივი იარაღის ტარებისათვის განმეორებით ადმინისტრაციულ სახდელ დადებული ან ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარება, –
ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ექვსი თვის ვადით.
2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა არაერთგზის ან განზრახ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლები პირის მიერ, –
ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.“

კასაციის მომენტისთვის მსჯავრდებული პირის მიმართ მოქმედებდა არსებითად შეცვლილი ნორმა, რომლის პირველი ნაწილით აღწერილი გარემოებები აღარ შეესაბამებოდა მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედების აღწერას.
კასაციისას მსჯავრდებულის ადვოკატმა მოითხოვა სასჯელის შემსუბუქება, რითაც დილემის წინაშე დააყენა უზენაესი სასამართლო. ნორმის უკუძალის წესიდან გამომდინარე: „სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას, ან ამსუბუქებს სასჯელს აქვს უკუძალა.“ (მუხლი 3.1, სსკ, 1999, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე #41(48)). ანუ, მხარეს მიეცა შესაძლებლობა საკანონმდებლო ცვლილება გამოეყენებინა საფუძლად და მოეთხოვა პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება, სანაცვლოდ მხარე ითხოვდა სასჯელის შემსუბუქებას და სასამართლოც შეზღუდული იყო უფლებამოსილებაში საკუთარი ინიციატივით მოეხმო საქმეში მხარისთის სასარგებლო არგუმენტი. აღნიშნულ შეზღუდვას სასამართლოს სისხლის სამართლის პროცესის 306-ე მუხლის მე-4 პუნქტი უწესებდა: „საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში“ (სსსკ, 2009, საქართელოს საკანონმდებლო მაცნე #31).

აღნიშნული დილემა იქცა საკონსტიტუციო წარდგინების საფუძვლად.
მსგავსი დილემის წინაშე დადგა თბილისის სააპელაციო სასამართლოც, ბექა ავაიშვილის საქმის განხილვისას, სადაც მსჯავრდებულის ასჯელის შემსუბუქებას მოითხოვდა, გაცდა მოთხოვნის ფარგლებს და მსჯავრდებული უდანაშაულოდ ცნო, რათა თავიდან აერიდებინა ერთი და იგივე პირის ორჯერ მსჯავრდება ერთსა და იმავე დანაშაულში.

კონსტიტუციური წარდგინებით დასმული ძირითადი საკითხები:
უზენაესი საამართლოს მიერ მომზადებული კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს კანონმდებლობისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხს, შეჯიბრებითი პროცესის შინაარსისა და მიზნის განმარტებას უყრის საფუძველს. შეჯიბრებითი პროცესის კონსტიტუციური განმარტება საქართველოში სამართლიანი სასამართლოს განვითარების და განმტკიცებისთვის საკვანძო მნიშვნელობისაა. სწორედ ამიტომ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლა მნიშვნელოვნად მიიჩნევს ჩაერთოს პროცესში და წარმოადგინოს საკუთარი პოზიცია.

გამოკვლევისას ჩვენი მსჯელობა შეეხება შემდეგ საკითხებს:

1. სამართლიანი სასამართლოს ძირითადი პრინციპია, თავიდან ავირიდოთ თვითნებური და უკანონო დასჯა

2. კონსტიტუციის 85-ე მუხლით განსაზღვრული შეჯიბრებითი პროცესი შესაძლებლობას აძლევს მხარეებს სრულად წარმოადგინონ საკუთარი პოზიცია დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ (საქ. კონსტ. მუხლი 84) მართლმსაჯულების (საქ. კონსტ. მუხლი 82) აღსრულების მიზნით.

1. თვითნებური და უკანონო დასჯის დაუშვებლობა

საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში სამართლიანი პროცესის ფუნდამენტური პრინციპები საქართველოს კონსტიტუციითაა განსაზღვრული. საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლი ადამიანის ძირითად საპროცესო უფლებებს ჩამოთვლის. მე-40-ე და 42-ე მუხლები სამართლიანი პროცესისა და სამართლიანი სასამართლოს ძირითად პრინციპებს განმარტავენ. კონსტიტუციური წარდგინების შინაარსიდან გამომდინარე ჩვენი მიმოხილვა კონსტიტუციის მე-40-ე და 42-ე მუხლების შინაარსს განმარტავს იმ ნაწილში, სადაც აღნიშნული მუხლები ზღუდავს კანონით განუსაზღვრელი ზომების გამოყენებას პირის წინააღმდეგ, მისი თავისუფლების შეზღუდვისთვის.

საქართველოს კონსტიტუციის მე-40-ე მუხლის თანახმად:

„1. ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.
2. არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს.
3. დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.“

მოცემული მუხლის პირველი პუნქტი ადგენს დანაშაულისთის პასუხისმგებლობის ძირითად პრინციპს. მხოლოდ კანონის საფუძველზე დამდგარი სასამართლოს განაჩენი შეიძლება ჩაითვალოს პასუხისგების საფუძვლად. სისხლის სამართლის კოდექსის მიერ დაზუსტებულია აღნიშნული დებულება. კერძოდ სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად:

„1. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ესე იგი ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება.“ (მუხლი 3.1, სსკ, 1999)

აქედან გამომდინარე, მოცემული სტანდარტის დარღვევის ეს საფრთხე კონსტიტუციური ნორმის დარღვევის საფრთხეცაა და აუცილებლად იმსახურებს დამატებით განმარტებას.

საკონსტიტუციო სასამართლოს საინტერერსო მსჯელობა აქვს თვითნებური დასჯის თავიდან აცილების საკითხზე. საქმეში "საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება, №1/1/428,447,459) სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტი განამტკიცებს კანონიერების პრინციპი (nullum crimen sine lege). "42-ე მუხლის მე-5 პუნქტის პირველი წინადადება უზრუნველყოფს პირის შესაძლებლობას, წინასწარ დადგენილი, საჯაროდ ხელმისაწვდომი და არაინდივიდუალიზებული სამართლებრივი წესების შესაბამისად შეძლოს იმის განჭვრეტა, თუ რა ქმედებები წარმოადგენს სამართალდარღვევებს და საკუთარი ქცევის შესაბამისად წარმართვა, რაც უმნიშვნელოვანესი გარანტიაა თვითნებური დევნისა და ბრალდების წინააღმდეგ."
„. . . არ შეიძლება პირმა აგოს პასუხი იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენაშიც მისი ბრალეულობა არ დგინდება. პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი სისხლის სამართალში ნიშნავს, რომ პირის პასუხისმგებლობის საკითხი მხოლოდ მაშინ შეიძლება დადგეს, თუ მას ბრალი პირადად, ინდივიდუალურად მიუძღვის მისი მოქმედების ან უმოქმედობისათვის (საქართველოს სახალხო დამცველი პარლამენტის წინააღმდეგ, 2011)" - მსჯელობს სასამართლო და საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მნიშვნეოვან შინაარსს ადგენს სასამართლოების მიერ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესისთვის.
„უფლებებისა და თავისუფლებების არსებობისა და ეფექტური რეალიზებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მათი სამართლებრივი დაცვის საშუალებების არსებობას. უფლება ის ლეგიტიმური ინტერესია, რომელიც ამართლებს დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვა პირის თავისუფლების შეზღუდვას. ხოლო კონკრეტული ინტერესის უფლებად განსაზღვრის შედეგი არის სწორედ ის, რომ მისი ხელყოფის ან შესაძლო ხელყოფის შემთხვევაში, უფლების სუბიექტს შეუძლია მოითხოვოს ხელყოფის საფრთხისგან დაცვა ან მიყენებული ზიანის ანაზღაურება. „უფლება" ვერ იქნება პირის ლეგიტიმური ინტერესების დაცვის რეალური გარანტია, ის იქნება მხოლოდ თეორიული და ფიქციური, თუ მას არ ახლავს სასამართლო წესით მისი დაცვის შესაძლებლობა . . . „ - უნგიაძე და ყიფიანი საქართველოს აპრლამენტის წინააღმდეგ, 2009.
„საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ სასამართლო ხელისუფლების იურისდიქციის შეზღუდვა – სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის შეზღუდვით სასამართლო კომპეტენციას განკუთვნილი საკითხების სასამართლო განსჯადობის სფეროდან გამოყვანა, prima facie საფრთხეს უქმნის როგორც ინდივიდის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, ისე სასამართლო ხელისუფლების უნარს, შეაკავოს და გააწონასწოროს პოლიტიკური ხელისუფლება. შესაბამისად, საკანონმდებლო ორგანოს ყოველი ასეთი მოქმედება განსაკუთრებული ყურადღებით უნდა შემოწმდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ." - განმარტა სასამართლომ საქმეში ,,კანადის მოქალაქე ჰუსეინ ალი და საქართველოს მოქალაქე ელენე კირაკოსიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (2008 წლის 19 დეკემბრის N1/1/403,427 გადაწყვეტილება).
„...პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პროცესში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამართლიანი სასამართლოს უფლებითა და საპროცესო გარანტიებით სრულყოფილ სარგებლობას. პასუხისმგებლობის დაკისრებისას ინდივიდი არ უნდა წარმოადგენდეს სამართალწარმოების ობიექტს და უნდა აღიჭურვოს დაცვის იმ მექანიზმებით, რასაც სამართლიანი სასამართლოს უფლება მოითხოვს" (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის №3/3/601 გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებაზე საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 546-ე მუხლის და ამავე კოდექსის 518-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე, II-11).
საქმეში მიქაძე პარლამენტის წინააღმდეგ (#548, 2015) საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს: „მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის, ისევე როგორც მართლმსაჯულების განხორციელებისას, ზოგადად, სახელმწიფო შებოჭილი უნდა იყოს მკაფიოდ ფორმულირებული საკანონმდებლო ნორმებით, რომლებიც მინიმუმამდე დაიყვანს თვითნებობის ან შეცდომის დაშვების საფრთხეს. სახელმწიფოს ხელთ არსებული მნიშვნელოვანი რესურსი, რომელიც დანაშაულთან

დაკავშირებული ფაქტებისა და გარემოებების გამოძიებისკენ არის მიმართული, არ უნდა იქნეს ბოროტად გამოყენებული. გონივრულმა, ზედმიწევნით ზუსტად განსაზღვრულმა საკანონმდებლო ნორმებმა უნდა დააბალანსოს ბუნებრივი უპირატესობა, რომელიც შეიძლება ბრალდების მხარეს დაცვის მხარესთან შედარებით გააჩნდეს და შესაძლებლობა მისცეს ბრალდებულს, სრულყოფილად დაიცვას საკუთარი ინტერესები, რაც, თავის მხრივ, მართლმსაჯულების ინტერესებს ემსახურება. ასეთია კანონის უზენაესობის პატივისცემისა და სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციური პრინციპების მოთხოვნა.“
ჩვენს მიერ მოძიებული განმარტებები შესაძლოა ავიღოთ სახელმძღვანელო პრინციპებად ჩვენი შემდგომი მსჯელობისთვის, რადგან ნათელია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო დაინტერსებულია არა მხოლოდ მართლმსაჯულების პროცედურული მხარის არსებობის ფაქტით, არამედ არსებული პროცესის მიერ სამართლიანი გადაწყვეტილების დაყენების შესაძლებლობითაც. ჩვენი აზრით სწორედ აღნიშნული მსჯელობა წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის განმარტების საფუძველს. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული მუხლის განსაზღვრული შეჯიბრებითობის პრინციპის განმარტება მხოლოდ უფლებათა თავის რელევანტური მუხლების ჭრილში და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფარგლებში უნდა მოხდეს.

2. შეჯიბრებითი პროცესი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ქმნის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის სისტემას, რომელიც აგებულია, შეჯიბრობითობის, საჯაროობის, მხარეთა თანასწორობის, მტკიცებულებათა უშუალო გამოკვლევის, ბრალდებულის უფლებებათა პატივისცემისა და სხვა პროგრესულ პრინციპებზე. კოდექსის მიზანია, საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სწრაფი, ეფექტიანი და სამართლიანი მართლმსაჯულების სისტემის შექმნა. ინკვიზიციურობის ელემენტებისგან თითქმის თავისუფალი, წმინდა შეჯიბრებითი პროცესი განსხვავებულად აყალიბებს ბრალდებისა და დაცვის მხარეების ფუნქციებს და მოსამართლის როლს შეჯიბრებითობის პროცესში.

ჭეშმარიტების (სიმართლის) დადგენა

ჭეშმარიტების(სიმართლის) დადგენა, როგორც პროცესის შედეგი - დამნაშავის დასჯა და უდანაშაულოს გამართლება - პროცესის უმნიშვნელოვანესი მიზანია. დავის საგანს არ წარმოადგენს, რომ ნებისმიერი სამართლებრივი სახელმწიფოს სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნლოვანესი მიზანია ჭეშმარიტების დადგენა. ჭეშმარიტების დადგენა დამნაშავის დასჯას, უდანაშაულოს გამართლებას ემსახურება და პროცესის საბოლოო შედეგს წარმოადგენს. მატერიალური სისხლის სამართალი წარმოადგენს ultima ratio-ს (უკანასკნელ ღონისძიებას) - სამართლებრივი სიკეთის დასაცავად. მატერიალური სამართლის ნორმების დარღვევა, (ანუ აკრძალვა არ ჩაიდინოს მკვლელობა,) იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.
რა სახის ჭეშმარიტება უნდა იქნეს დადგენილი, მატერიალური თუ ფორმალური ჭეშმარიტება, დღემდე დავის საგანს წარმოადგენს. დავის საგანია ასევე, სასამართლო პროცესის წარმოების რომელი ფორმით დგინდება უკეთესად ჭეშმარიტება, ინკვიზიციური თუ მხარეთა შეჯიბრებითობის (ადვერსარული) ფორმით.
კონტინენტურევროპული სამართლის ქვეყნების სისხლის სამართლის პროცესს, (მაგ. გერმანია) მატერიალური ჭეშმარიტების დადგენის პრინციპი უდევს საფუძვლად, რომლის შესაბამისადაც სასამართლო საქმის გარემოებებს სასამართლო განხილვისას თვითონ იკვლევს. ის მხარეთა შუამდგომლობებსა და განცხადებებზე დამოკიდებული არ არის. მოსამართლე სასამართლო სხდომაზე თვითონ აწარმოებს მტკიცებულებათა გამოკვლევას, იგი არ არის მტკიცებულებათა წარდგენისა და გამოკვლევის შუამდგომლობებით შეზღუდული, მას უფლება აქვს დამოუკიდებლად მოიპოვოს ახალი მტკიცებულებები თუ ეს საჭიროდ მიაჩნია, მხარეთა ყოველგვარი შუამდგომლობის გარეშე. იგი აქტიურად იღებს მონაწილეობას მატერიალური ჭეშმარიტების დადგენაში.
აშშ-ში შეჯიბრებითობის პროცესი ლეგიტიმირებული იქნა, როგორც ჭეშმარიტების დადგენის საშუალება. ადვერსარული პროცესი ა.შ.შ.-ში განიხილება ჭეშმარიტების დადგენის საუკეთესო სისტემად, იმ

საფუძვლით, რომ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ერთმანეთის წინააღმდეგ მტრულად განწყობილი მხარეები ჭეშმარიტების გამოკვლევისა და დადგენის საუკეთესო გარანტიას წარმოადგენენ. მხარეების მიერ მოპოვებული და სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულების საფუძველზე მოსამართლე ადგენს ჭეშმარიტებას. ინკვიზიციური პროცესის შესაბამისად, მოსამართლე თვითონ აწარმოებს მტკიცებულებათა გამოკვლევას. მოსამართლეს ინკვიზიციურ პროცესში სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე გარკვეულად წინასწარი შეფასებაც კი გააჩნია, ვინაიდან ის, საქმის განხილვის დაწყებამდე უკვე იცნობს საქმის მასალებს.
შეჯიბრებითობის პრინციპი მხარეებს აძლევს შესაძლებლობას დამოუკიდებლად გამოიძიონ ფაქტები, მოიპოვონ მტკიცებულებები, გამოკითხონ მოწმეები, მოიწვიონ ან რჩევა მიიღონ ექსპერტებისაგან, თვითონ განსაზღვრონ თუ რა მტკიცებულება წარადგინონ ან არ წარადგინონ სასამართლო პროცესზე. თითოეული მხარე უფლებამოსილია მისი პოზიციის სასარგებლო მტკიცებულება წარმოადგინოს, ასევე თავის სასარგებლოდ განმარტოს კანონი. მხარეები ცდილობენ პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვით მეორე მხარის საწინააღმდეგო არგუმენტები პრობლემატურად წარმოაჩინონ. მოსამართლემ და მსაჯულებმა მიუკერძოებლად უნდა შეაფასონ მხარეთა მიერ წარმოდგენილი მასალები და საკითხები.
თუმცა ამერიკის შეერთებული შტატების სისხლის სამართლის პროცესი მიისწრაფის მოდიფიცირებული ან რეგულირებული შეჯიბრებითი სისხლის სამართლის სისტემისაკენ. წმინდა შეჯიბრებითობის სისტემის საწინააღმდეგოდ მოდიფიცირებული სისტემა არ იცნობს აბსოლუტურად პასიურ, არა აქტიურ მოსამართლის ინსტიტუტს.
შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარეობს თანასწორუფლებიანობა. საპროცესო კოდექსი გამოძიების პროცესშივე ცდილობს უზრუნველყოს მხარეთა თანასწორუფლებიანობა, ანიჭებს რა მხარეებს საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების თანაბარ უფლება-მოვალეობებს (სსსკ-ის 111-ე მუხლი). მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა თანასწორუფლებიანობა არარეალურია. შეუძლებელია დაცვის მხარე გაუთანაბრდეს ბრალდების მხარეს, რომელიც თავის ფუნქციებს ახორციელებს თანამედროვე ახალი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი საგამოძიებო ორგანოების დახმარებით, რომლიც ასევე სარგებლობს მთელი რიგი საპროცესო თუ საგამოძიებო იძულებითი ღონისძიებების ჩატარების უპირატესი უფლებით, რომლის თმენის ვალდებულებაც აკისრია ბრალდებულს.
მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ შეჯიბრებითობის სისტემას უპირატესობა გააჩნია ინკვიზიციურ სისტემასთან შემდეგ გარემოებათა გამო:
შეჯიბრებითობის პროცესის დროს მტრულად განწყობილი მხარეები ყოველთვის უფრო მეტ ფაქტებს იძიებენ, იკვლევენ და წარუდგენენ პირის ბრალეულობაზე გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს, ვიდრე ინკვიზიციური პროცესის სისხლის სამართლის დევნის განმახორციელებელი ოფიციალური ორგანოები. მხარეთა დიდი ინტერესი საქმისადმი უზრუნველყოფს, რომ საქმისათვის ყველა მნიშვნელოვანი მტკიცებულება იქნეს მოპოვებული, წარდგენილი და საფუძვლიანად გამოკვლეული მხარეთა მიერ. შეჯიბრებითი პროცესი იცავს პირის ბრალეულობაზე გადაწყვეტილების მიმღებ მოსამრთლეს საქმეზე წინასწარ აზრის შექმნისაგან და უზრუნველყოფს მის მიუკერძოებლობას, რამეთუ გადაწყვეტილების მიმღები ორგანო შეჯიბრებით პროცესში ფაქტების გამოკვლევასა და დადგენაში არ არის უშუალოდ ჩართული. ის ნეიტრალურია და გადაწყვეტილებას იღებს მას შემდეგ, როცა მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები სრულყოფილად იქნება მხარეთა მიერვე მის თვალწინ გამოკვლეული. კრიტიკა განსაკუთრებით მკაცრია იმ არგუმენტის მიმართ, რომ სწორედ მხარეთა კერძო ინტერესი საქმისადმი უზრუნველყოფს საქმისათვის უმნიშვნელოვანესი ინფორმაციის მოპოვებასა და ჭეშმარიტების დადგენას. შეჯიბრებითი პროცესი, რომელიც მხარეებს შესაძლებლობას აძლევს საკუთარ ინტერესებს მოემსახუროს, კრიტიკოსთა აზრით ყოველთვის ქმნის საფრთხეს, რომ მხარეებს მიეცემათ შესაძლებლობა შეცვალონ ჭეშმარიტების დადგენის ტაქტიკა და გადაუხვიონ ამ გზიდან. მათ შესაძლებლობა ეძლევათ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, შეცვალონ, არ გამოაჩინონ ან გადამალონ მთელი რიგი მტკიცებულებები. საბოლოო შედეგი იქნება გადაწყვეტილების მიმღები ორგანოსათვის ჭეშმარიტების დასადგენად ყველა მტკიცებულების წარდგენა კი არა, არამედ ბრძოლა გარკვეულ გარემოებათა დასამალად.

შეჯიბრებითობის პრინციპი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით:

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ”ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს”. აღნიშნულ ნორმას დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს. ის ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური გარანტიაა. ნორმის მიზანს მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფა და მათთვის თავიანთი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად თანაბარი შესაძლებლობების შექმნა წარმოადგენს. მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფა ეხმარება მოსამართლეს საქმის ყოველმხრივ გამოკვლევის საფუძველზე გამოიტანოს ობიექტური, სამართლიანი დ დასაბუთებული გადაწყვეტილება.
სისხლის სამართლის პროცესის პრინციპები წარმოადგენენ იმ ძირითად სახელმძღვანელო დებულებებს. რომლებიც განსაზღვრავენ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის შინაარსა და სტრუქტურას. საპროცესო კოდექსის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა (სსსკ-ის მე-9 მუხლი). საქართველოს კანონმდებელმა ახალი საპროცესო კოდექსით უარი თქვა ინკვიზიციურობის პრინციპზე, მატერიალური ჭეშმარიტების დადგენაზე და ჭეშმარიტების დადგენა მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, ერთმანეთის მიმართ ”მტრულად” განწყობილ მხარეებს მიანდო. სსსკ–ის მე–9 მუხლის შესაბამისად „სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე პროცესი ხორციელდება მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის საფუძველზე.“ შეჯიბრებითობა გარანტირებულია მხარეებს შორის, როგორც გამოძიების, ისე საქმის სასამართლოში განხილვის სტადიაზე (სსსკ-ის 25-ე მუხლი). აღნიშნული პრინციპი გარკვეული გამონაკლისების გარდა თანაბარ მდგომარეობაში აყენებს მხარეებს მათ მიერ მტკიცებულებათა მოპოვების, მოსამართლის წინაშე მათი წარმოდგენის, გამოკვლევის და შეფასების მხრივ. მოსამართლე მონაწილეობას არ იღებს მტკიცებულებათა მოპოვებასა და გამოკვლევაში, იგი ნეიტრალურია. რაც ფორმალური ჭეშმარიტების დადგენას ემსახურება. ე.ი ჭეშმარიტება დგინდება მხარეთა შორის კამათის გზით. ჭეშმარიტების დადგენა შესაძლებელია მხოლოდ უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობის საფუძველზე. მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპზეა დაფუძნებული Mმთლიანი სასამართლო პროცესი, ასევე წინასასამართლო პროცესის დიდი ნაწილი. Pგამოძიების პროცესში პირის ბრალდებულად ცნობამდე ინკვიზიციურობის პრინციპი მოქმედებს. შეჯიბრებითი პროცესის მხარეები არიან გამომძიებელი, პროკურორი, ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული და დამცველი (სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-5 ნაწილი).
მსჯავრდებული და გამართლებული საქართველოს საპროცესო კოდექსის შესაბამისად მხარის სტატუს იძენს გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენის დადგენის შემდეგ.
შეჯიბრებითობის მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ მტკიცებულებათა მოპოვება და სასამართლოში წარდგენა მხოლოდ ბრალდებისა და დაცვის მხარის კომპეტენციაა.
სსსკ–ის 111–ე მუხლის თანახმად „მხარეებს ამ კოდექსით დადგენილი წესით საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას აქვთ თანაბარი უფლება-მოვალეობები.“
სასამართლო პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობის და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გულისხმობს, რომ სასამართლო ვალდებულია მხარეებს შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები თავიანთი უფლებებისა და ინტერესების დაცვის პროცესში, მათ შორის:

- მისცეს თანაბარი შესაძლებლობები გამოხატოს პოზიცია მეორე მხარის შუამდგომლობასა და საჩივართან დაკავშირებით(სსსკ–ის 25 მუხლის
პირველი და მე–4 ნაწილები);
- სასამართლოს ეკრძალება ბრალდების დამადასტურებელი ან დაცვის ხელშემწყობი

მტკიცებულებების დამოუკიდებლად მოპოვება და გამოკვლევა, მათ შორის ეკრძალება კითხვები დაუსვას დასაკითხ პირს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მხარეებთან შეთანხმებით შეუძლია დასვას დამაზუსტებელი კითხვა (სსსკ–ის 25–ე მუხლის მე–2 ნაწილი);

- სასამართლოს ეკრძალება განაჩენის ან სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანამადე

ბრალდებულის უდანაშაულობის ან დამნაშავეობის შესახებ აზრის გამოხატვა (სსსკ–ის 25– ემუხლის მე–3 ნაწილი).
საქართველოს საპროცესო კოდექსის მთელი რიგი ნორმები მიმართულია მოსამართლის

მიუკერძოებლობის უზრუნველ¬ყოფაზე, კერძოდ სსსკ-ის 25-ე მუხლით მოსამართლეს უფლება არა აქვს საქმის განხილვისას აქტიურ მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა მოპოვება-გამოკველვაში. მას დამოუკიდებლად შეკითხვის დასმის უფლება არ გააჩნია, კანონის შესაბამისად მოსამართლეს მხოლოდ მხარეებთან შეთანხმების შედეგად აქვს უფლება დასვას დამაზუსტებელი კითხვა, ისეთ შემთხვევებში, თუ ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად. აღნიშნული ნორმით კანონმდებელი შეეცადა უზრუნველყო მოსამართლის ნეიტრალობა და აეცილებინა საფრთხე, რომელიც თან ახლავს სასამართლოს მიერ ბრალდების დამადასტურებელ ან დაცვის ხელშემწყობ მტკიცებულებათა დამოუკიდებლად მოპოვებას და გამოკვლევას. მოსამართლეს მართალია უფლება არა აქვს ბრალდების დამადასტურებელი ან დაცვის ხელშემწყობი მტკიცებულებები დამოუკიდებლად მოიპოვოს ან /და გამოიკვლიოს, მაგრამ უფლება აქვს მხარეებს ხელი შეუწყოს და მიეხმაროს მტკიცებულებათა მოპოვებაში (სსსკ-ის 25-ე, 26-ე მუხლები).

მოსამართლე, მის მიერ მოპოვებული მტკიცებულებებისა და წარმოებული გამოკვლევის შედეგად შესაძლებელია ამ მტკიცებულებათა გავლენის ქვეშ მოექცეს, რამაც შეიძლება მოსამართლეს საქმეზე მტკიცე¬ბულებათა გამოკვლევის დასრულებამდე წინასწარ შეუქმნას აზრი ბრალდებულის დამნაშავეობა ან მის უდანაშაულობაზე.

მოსამართლის ნეიტრალობას და მის მიუკერძოებლობას უზრუნველყოფს ასევე მოსამართლის პროცესში მონაწილეობის გამომრიცხველი და მისი აცილების გარემოებები. მოსამართლე საქმის განხილვისას უნდა იყოს მიუკერძოებელი. საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს სისხლის სამართლის პროცესში მოსამართლის გამომრიცხავ გარემოებებს და აცილების საფძუვლებს. მოსამართლე შეზღუდულია ბრალდების ფორმულირებით, რის გამოც ბრალდების/ბრალდების ნაწილის მოხსნის შემთხვევაში სამართალწარმოება შესაბამის ნაწილში წყდება, და შეზღუდულია საჩივრის ფარგლებით, (სსსკ 297-ე მუხლის "ზ" ქვეპუნქტი და 306-ე მუხლის მეოთხე ნაწილი).

შეჯიბრებითობის პრინციპი არ არის აბსოლუტური უფლება. კანონმდებლობა ითვალისწინებს მისგან გამონაკლისებს. მაგრამ ნებისმიერი გამონაკლისი შეჯიბრებითობიდან უნდა ეფუძნებოდეს გონივრულ საფუძველს. სსსკ ითვალისწინებს რიგ საპროცესო მოქმედებებს, რომელთა წარმოების ან რომელთა შედეგების შესახებ ინფორმაციის მოპოვების უფლება დაცვის მხარეს საერთოდ არ გააჩნია ან არ გააჩნია გარკვეულ დროის პერიოდამდე. მაგ. უფლება ფარული საგამოძიებო მოქმედების წარმოებაზე, კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოღებული ინფორმაციის მატარებლების გამოკვლევის უფლების თავდაპირველად ბრალდების მხარისათვის მინიჭების შესაძლებლობა და სხვა. თუ მხარეებს თავიდანვე არათანაბარი შესაძლებლობები გააჩნია, უთანასწორობა უნდა დაბალანსდეს მათთვის სხვადასხვა უფლებების მინიჭების გზით, რაც ქმნის ე.წ დაცვის საგამონაკლისო უფლებებს. აღნიშნულს ემსახურება სისხლის სამართლის პროცესში მაგალითად, უდანაშაულობის პრეზუმფციის, მათ შორის მტკიცების ტვირთის ბრალდების მხარეზე დაკისრება, ყოველგვარი ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტა, დუმილის უფლება, საუარესოდ შებრუნების აკრძალვა და სხვა.

სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციაა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სათანადო რეალიზაციის უზრუნველყოფა. სამართლიანი სასამართლოს უფლება, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს განხორციელების ერთგვარი საზომი, გულისხმობს ყველა იმ სიკეთის სასამართლოში დაცვის შესაძლებლობას, რომელიც თავისი არსით უფლებას წარმოადგენს. სასამართლო მხარეთა შეჯიბრობითობის პროცესში წარმოადგენს არბიტრს, რომელიც მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას განსახილველ საკითხზე. თანაბარი შესაძლებლობების შექმნა გულისხმობს მხარებისათვის მტკიცებულებების წარდგენის თანაბარი შესაძლებლობით უზრუნველყოფას და ამ მტკიცებულებების თანაბარ პირობებში გამოკვლევას. აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში თარჯიმნის მონაწილეობის უზრუნველყოფას, თუ პროცეისის რომელიმე მონაწილე არ ფლობს სამართალწარმოების ენას და ა.შ

სსსკ-ის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილი ხაზს უსვამს რა სასამართლო პროცესში მხარეთა შეჯიბრებითობის მნიშვნელობას, კრძალავს სასამართლოს მიერ ბრალდების დამადასტურებელ ან დაცვის ხელშემწყობ მტკიცებულებათა მოპოვებასა და გამოკვლევას. მხოლოდ მხარეები არიან უფლებამოსილი მოიპოვონ და სასამართლოს წარუდგინონ მათი სასარგებლო მტკიცებულებები. მხარეები განსაზღვრავენ მათ მიერ

სასამართლოში წარსადგენ მტკიცებულებათა თანმიმდევრობას და თავად არიან უფლებამოსილნი უარი თქვან ამა თუ იმ მტკიცებულების წარდგენასა და გამოკვლევაზე. მხარეები პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვის გზით აწარმოებენ ასევე მოწმეთა დაკითხვას.
სასამართლოს, რომელიც წარმოადგენს რა მართლმსაჯულების განხორციელების ერთადერთ ორგანოს და მხარეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვისათვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნის გარანტს, განაჩენის ან სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე, უფლება არა აქვს, აზრი გამოთქვას ბრალდებულის (მსჯავრდებულის) დამნაშავედ თუ უდანაშაულოდ ცნობის თაობაზე.
მოსამართლის მიერ განაჩენის გამოტანამდე გამოთქმული აზრი ბრალდებულის (მსჯავრდებულის) დამნაშავედ ან უდანაშაულოდ ცნობის თაობაზე შესაძლოა საფუძვლად დაედოს მისი სისხლის სამართლის საქმის განხილვისაგან აცილებას, როგორც ისეთი გარემოება, რომელიც საეჭვოს ხდის მის ობიექტურობას და მიუკერძოებლობას, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით.
სასამართლო სხდომაში ორივე მხარის მონაწილეობის შემთხვევაში, ერთი მხარის შუამდგომლობასთან ან საჩივართან დაკავშირებით სასამართლო ისმენს მეორე მხარის აზრსაც და მხოლოდ ამის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას მხარის შუამდგომლობის თუ საჩივრის დაკმაყოფილების თუ მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. მსგავსი შინაარსის დებულებას შეიცავს ასევე სსსკ-ის 94-ე მუხლის მე-3 ნაწილიც, რომლის მიხედვითაც, თუ სასამართლო სხდომაში მონაწილეობს პირი, რომლის ინტერესებსაც ეხება შუამდგომლობა, აგრეთვე მისი ადვოკატი, მათ ეძლევათ შესაძლებლობა მისცენ განმარტებები და ჩამოაყალიბონ თავიანთი მოსაზრებები. შუამდგომლობის განხილვისას მეორე მხარის, ასევე დაინტერესებული პირის მოსაზრების მოსმენა ემსახურება სისხლის სამართლის პროცესის ამოცანების განხორციელებას და შესაბამისად, სწორი გადაწყვეტილების მიღებას.
მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის არსი ევროპული კონვენციის და ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად
მხარეთა შეჯიბრებითობა და თანასწორობა ევროპული კონვენციის მე–6 მუხლით გარანტირებული უფლების – სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების შემადგენელი უმნიშვნელოვანესი გარანტიაა. ის მჭიდროდ არის დაკავშირებული ევროპული კონვენციის მე–6 მუხლით გარანტირებულ ისეთ სპეციალურ უფლებებთან, როგორიცაა წარდგენილი ბრალდების არსისა და საფუძვლის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება ; საკმარისი დროის და შესაძლებლობების ქონა დაცვის მოსამზადებლად ; ბრალდებულმა დაიცვას თავი პირადად ან დამცველის მეშვეობით ; უფლება დაკითხოს ან დააკითხინოს ბრალდების მოწმეები და გამოაძახებინოს და დააკითხინოს დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეთა თანაბარ პირობებში ; დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილების მიღების უფლება და სხვ.
ევროპული სასამართლოს განმარტებით სისხლის სამართლის საქმეში შეჯიბრებით პროცესზე უფლება გულისხმობს, რომ როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარეს უნდა მიეცეს მეორე მხარის მიერ წარდგენილი მოსაზრებებისა და მტკიცებულებების გაცნობისა და მათზე საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა . ეს პრინციპი მოქმედებს იმის მიუხედავად, მეორე მხარის მიერ წარდგენილი მასალები შეეხება ფაქტების დადგენას, სამართლებრივ არგუმენტებს საქმის არსებით გარემოებებზე, თუ შუამდგომლობებს საპროცესო საკითხებზე .
მხარეთა თანასწორობა ევროპული სასამართლოს აზრით, გულისხმობს, რომ თითოეულ მხარეს უნდა მიეცეს საკუთარი პოზიციის, მათ შორის მტკიცებულებების წარდგენის გონივრული შესაძლებლობა ისეთ პირობებში, რომლებიც მას არ ჩააყენებს არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში მოწინააღმდეგესთან შედარებით .
ამდენად, მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა გულისხმობს დაცვის და ბრალდების მხარეთა თანაბარ შესაძლებლობებს, მოიპოვონ, შეისწავლონ, წარადგინონ და გამოიკვლიონ საკუთარი და მოწინააღმდეგე მხარის წარდგენილი მტკიცებულებები და მოსაზრებები; გამოთქვან საკუთარი მოსაზრება მეორე მხარის მიერ გამოთქმულ პოზიციასთან დაკავშირებით; საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას ისარგებლონ თანაბარი უფლება–მოვალეობებით და სხვ. სასამართლო კი უნდა იყოს აღნიშნულ შესაძლებლობების რეალიზების გარანტი. მხარეთა თანასწორობასა და შეჯიბრებითობაზე აგებული სისხლის პროცესის მიზანია უზრუნველყოფილ იქნას სამართლიანი სასამართლო განხილვა.
გამონაკლისები - მხარეთა შორის შეჯიბრებითობის პრინციპიდან სისხლის სამართლის საპროცესო

კოდექსის მიხედვით.
გამომძიებლის ვალდებულება გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად შეჯიბრებითი პროცესის და მხარეთა თანასწორობის პირობებში, გამომძიებელს, პროკურორს, ბრალდებულს და მის ადვოკატს საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარებისას თანაბარი უფლებამოსილება გააჩნიათ. თითოეული მხარეს (ბრალდების და დაცვის) უფლება აქვს გამოძიება დამოუკიდებლად აწარმოოს - მოიპოვოს და სასამართლოს წარუდგინოს პირის ბრალეულობის დამადასტურებელი და მისი გამამართლებელი მტკიცებულებები. ამ მიზნით მხარეები სარგებლობენ საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების ჩასატარებლად ნებართვის გაცემის შესახებ სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვის, შესაბამისი დაწესებულებიდან მტკიცებულების გამოთხოვის უფლებით.
მიუხედავად ამისა, სსსკ-ის 37-ე მუხლი გამომძიებელს გამოძიების ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად ჩატარების ვალდებულებას აკისრებს, რაც გარკვეულწილად მის მიერ როგორც პირის ბრალეულობის დამადასტურებელი, ისე გამამართლებელი მტკიცებულებების მოპოვებას გულისხმობს. გამომძიებელი ვალდებულია სისხლის სამართლის საქმეზე ყველა საჭირო და შემხვედრი საგამოძიებო მოქმედება ჩაატაროს. კანონით გათვალისწინებული მტკიცებულებათა რომელიმე სტანდარტის დაკმაყოფილება არ გამორიცხავს დამატებითი მტკიცებულებების მოპოვებას, თუ კონკრეტული გარემოებები ამის აუცილებლობაზე მიუთითებს. მაგალითად, თუ პირის მიერ ძარცვის ჩადენის თაობაზე დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს იძლევა სამი თვითმხილველი მოწმის ჩვენება, რომლებიც იმავდროულად მიუთითებენ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთების ადგილმდებარეობაზე, გამომძიებელი არ უნდა დაკმაყოფილდეს მოწმეთა ჩვენებებით და პროკურორისთვის დევნის დაწყების საკითხის გადასაწყვეტად საქმის გადაგზავნამდე, უნდა ჩაატაროს საგამოძიებო მოქმედება - ამოღება.
ამასთან, გამომძიებელი საქმის გამოძიების პროცესში არ უნდა იყოს მიკერძოებული და ორიენტირებული მხოლოდ პირის ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვებაზე. აღნიშნული გულისხმობს არა იმას, რომ გამოძიების მთელი ძალისხმევა მიმართული იყოს გამამართლებელი მტკიცებულებების მოპოვებისკენ, არამედ იმას, რომ გამოძიების პროცესში წამოჭრილი თითოეული ვერსია და ეჭვი, საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების გზით გადამოწმდეს.
სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით განაჩენში ბრალდებულის ქმედების კვალიფიკაციის შეცვლა სსსკ–ის 273–ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადების თანახმად სასამართლო ვალდებულია, თუ დაადგენს, რომ ბრალდების კვალიფიკაცია არასწორია, განაჩენში დაასაბუთოს ბრალდებულის სასარგებლოდ ბრალდების შეცვლის მოტივები და საფუძვლები.
როგორც სსსკ–ის 273–ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარეობს, სასამართლო ვალდებულია შეცვალოს ქმედების კვალიფიკაცია მიუხედავად იმისა, დაცვის მხარემ დააყენა თუ არა ქმედების კვალიფიკაციის შეცვლის მოთხოვნა.
ერთი შეხედვით, სსსკ–ის დასახელებული ნორმის მიზანი და სავარაუდოდ, კანონმდებლის ნებაც ის იყო, რომ ნორმას შეექმნა დამატებითი გარანტიები ბრალდებულის ინტერესების დასაცავად და არ დაეშვა მისი მსჯავრდება წარდგენილი კვალიფიკაციით, თუკი ეს კვალიფიკაცია არ დადასტურდება სასამართლო განხილვის დროს. თუმცა, რეალურად, ამ ნორმას აქვს საპირისპირო ეფექტიც და ქმნის ბრალდებულის მნიშვნელოვანი საპროცესო უფლებების დარღვევის რისკს. ამ უფლებებში მოიაზრება ბრალდებულის უფლება, იცოდეს რაში ედება ბრალი და ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობები დაცვის მოსამზადებლად. ხაზგასასმელია, რომ რისკი არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც ქმედების კვალიფიკაციის შეცვლა ხდება ბრალდებულის/დაცვის მხარის შუამდგომლობის გარეშე, მხოლოდ სასამართლოს ინიციატივით.
ბრალდებულმა უნდა იცოდეს რაში ედება ბრალი და ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობები დაცვის მოსამზადებლად
ბრალდებულმა უნდა იცოდეს ბრალდების არსი და ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობები დაცვის მოსამზადებლად – ეს უფლებები გარანტირებულია სსსკ–ის ნორმებით და ევროპული კონვენციის მე–6 მუხლით.
სსსკ–ის 38–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბრალდებულს მისთვის გასაგებ ენაზე უნდა ეცნობოს რომელი დანაშაულის ჩადენაში არსებობს მის მიმართ დასაბუთებული ვარაუდი. სსსკ–ის 169–ე მუხლის მე–3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად ბრალდების შესახებ დადგენილებაში უნდა აღინიშნოს

ინკრიმინირებული ქმედების აღწერა, მისი ჩადენის ადგილის, დროის, ხერხის, საშუალების, იარაღის, აგრეთვე ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მითითებით. სსსკ–ის 38–ე მუხლის მე–5 ნაწილი ადგენს, რომ „ბრალდებულს უნდა ჰქონდეს გონივრული დრო და საშუალება დაცვის მომზადებისათვის“. ბუნებრივია, თუ ბრალდებულმა არ იცის წინასწარ, გარკვეული დროით ადრე, მისთვის წარსადგენი ბრალდების ფორმულირების შესახებ, იგი ვერ მოახერხებს სათანადოდ მომზადებას და დაცვის პოზიციების შემუშავებას.

ბრალდებულის უფლება, ეცნობოს მისთვის წაყენებული ბრალდების არსი, გარანტირებულია კონვენციის მე–6 მუხლის მე–3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით. ხოლო, უფლება, ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობები დაცვის მოსამზადებლად, გათვალისწინებულია კონვენციის მე–6 მუხლის მე–3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით.

სსსკ–ის 273–ე მუხლის საფუძველზე სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით ქმედების კვალიფიკაციის შეცვლა წარმოშობს ვითარებას, როცა ბრალდებულს არ აქვს ინფორმაცია ახალი (თუნდაც შემსუბუქებული) ბრალდების შესახებ და შესაბამისად, არც შესაძლებლობა, მოამზადოს დაცვითი სტრატეგია ამ ბრალდების ირგვლივ. ევროპული სასამართლო, ეროვნული სასამართლოს მიერ განაჩენში ქმედების კვალიფიკაციის შეცვლას განიხილავს სწორედ ახალი ბრალდების წაყენების უფლების ჭრილში. ევროპული სასამართლოს რამდენიმე პრეცედენტი ეხება სწორედ ანალოგიურ ვითარებას –როდესაც სასამართლომ საკუთარი ინიციატივით შეცვალა ქმედების კვალიფიკაცია. ზოგიერთი ეს გადაწყვეტილება განხილული აქვს შტეფან ტრექსელს თავის ნაშრომში – ადამიანის უფლებები სისხლის სამართალში. „სასამართლომ სწორად დაადგინა კონვენციის დარღვევა პელისიეს (Pelissier) საქმეში, რომელშიც განმცხადებლებს ბრალად ედებოდათ დანაშაულებრივი გაკოტრება, თუმცა მსჯავრდებულ იქნენ დანაშაულებრივი გაკოტრების დახმარებასა და წაქეზებაში. გადამწყვეტ არგუმენტად იქცა ის გარემოება, რომ დახმარება და წაქეზება არ იყო თავდაპირველი ბრალდების არსებითი ელემენტი. დალოსის (Dallos) საქმეში დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მითვისება იქცა თაღლითობად. სადაკის (Sadak) საქმეში ღალატი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მოგვიანებით გახდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით შექმნილი შეიარაღებული ჯგუფის წევრობა. ხოლო სიპავიჩიუსის (Sipavicius) საქმეში თანამდებობის ბოროტად გამოყენება შეიცვალა გულგრილობით“.

ევროპული სასამართლო კონვენციის 6–ე მუხლის მე–3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გარანტირებულ უფლებებს ერთმანეთს უკავშირებს და აცხადებს, რომ ისინი ბრალდებულის მიერ დაცვის მომზადების უფლების ჭრილში უნდა იქნას განხილული.

ამასთან, ევროპული სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, მნიშვნელობა არ აქვს სასამართლოს მიერ კვალიფიკაციის შეცვლით შემსუბუქდა თუ არა პირის ბრალი. მნიშვნელოვანია, პირს წინასწარ ეცნობოს ბრალის შეცვლის შესახებ თუ მნიშვნელოვნად განსხვავდება შეცვლილი და პირვანდელი ბრალდების ძირითადი ელემენტები. საქმეში აბრამიანი რუსეთის წინააღმდეგ, განმცხადებელმა ქმედების კვალიფიკაციის შეცვლის (უფრო მძიმე მუხლი – ქრთამის გამოძალვა, შეიცვალა შედარებით მსუბუქი თაღლითობით) შესახებ გაიგო მხოლოდ განაჩენის გამოცხადების დღეს. სასამართლომ მიიჩნია, რომ ქრთამის გამოძალვისა და თაღლითობის მნიშვნელოვანი ელემენტები განსხვავებულია. ამიტომ, დაასკვნა, რომ პირი მოკლებული იყო შესაძლებლობას, მოემზადებინა დაცვა შეცვლილი ბრალდების ირგვლივ.

აღსანიშნავია, რომ ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, თუ ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ გასაჩივრების ეტაპზე სრულად განიხილა საქმე, რითიც გამოსწორდა ხარვეზები და ბრალდებულს მიეცა შესაძლებლობა, მოემზადებინა დაცვა ახალი ბრალდების ირგვლივ, მე–6 მუხლის დარღვევა არ დადგინდება. ზემოაღნიშნულ პრეცედენტებში, გარდა აბრამიანის საქმისა, გასაჩივრების ეტაპზე, ეს ხარვეზები გამოსწორებული იყო ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ. აბრამიანის საქმეში კი, ზემდგომმა სასამართლომ განხილვაზე არ მიიწვია მსჯავრდებული ან დამცველი და ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ რადგან განმცხადებელს და მის დამცველს არ მიეცათ ზემდგომ სასამართლოში შეცვლილ ბრალდებასთან დაკავშირებით პოზიციის უშუალოდ წარდგენის შესაძლებლობა, განმცხადებელს წაერთვა შესაძლებლობა, ეფექტიანად დაეცვა თავი შეცვლილი ბრალდებისაგან.

საინტერესოა, შესაძლებელია თუ არა სსსკ–ის საფუძველზე, სასამართლოს განხილვის ეტაპზე ან

ზემდგომი სასამართლოს მიერ ამ ხარვეზის გამოსწორება.
სსსკ არ ითვალისწინებს სასამართლო განხილვის ეტაპზე მოსამართლის მიერ ბრალის შესაძლო გადაკვალიფიცირების შესახებ ბრალდებულისთვის ინფორმაციის წინასწარ მიწოდების შესაძლებლობას. ზოგიერთ შემთხვევაში, მოსამართლემ თავისი ინიციატივით შესაძლებელია შეატყობინოს მხარეებს, რომ შესაძლოა ქმედებაში იკვეთებოდეს დანაშაულის არა ის შემადგენლობა, რაც ბრალად აქვს წარდგენილი ბრალდებულს, არამედ დანაშაულის სხვა შემადგენლობა. თუმცა, ამის შესახებ ინფორმირების კანონისმიერი ვალდებულება მოსამართლეს არ აქვს.
ამრიგად, ევროპის ადამიანაის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად საერთო საამართლოებმა შესაძლოა შეცვალონ ბრალის კვალიფიკაცია და ეს შეიძლება განხორციელდეს წარმოების სხვადასხვა ეტაპზე. კონვენცით დაცულია ამგვარი შესაძლებლობა მხოლოდ იმ შემტხვევაში, როცა მხარეები სათანადოდ არიან ინფორმირებული აღნიშნული მოქმედების შესახებ. საერთო სასამართლოებს შესაძლოა განსხვავებული მოტივი ჰქონდეთ კვალიფიკაციის შეცვლისთვის, როგორიცაა: ახალი კანონი, ალადაღმოჩენილი ფაქტობრივი გარემოება.

3. დასკვნა

შეჯიბრებითი პროცესი არ არის აბსოლუტური უფლება. საქართველოს კონსტიტუციის მე-40-ე და 42-ე მუხლები უნდა იქნეს გამოყენებული კონსტიტუციის 85-ე მუხლით განსაზღვრული შეჯიბრებითობის პრინციპის განმარტებისთვის.

სამართლიანი პროცესის აზრი კანონის უზენაესობის განმტკიცებაა, რაც გულისხმობს დამოუკიდებელი სასამართლოსთვის იმგვარი უფლებამოსილებების მინიჭებას, რომ მან თავიდან აიცილოს თვითნებური დასჯა.

მიგვაჩნია, რომ უზენაესი სასამართლოს #608, #609, #634 საფუძვლიანია და სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების მოქმედების აბსოლუტური შეზღუვა მხარეთა მოთხოვნის ფარგლებით ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მე-40-ე და 42-ე მუხლით დაცულ უფლებას.

IV.თანდართული დოკუმენტების სია

ა. დოკუმენტები, რომლებიც სასურველია ერთვოდეს მოსაზრებას (გთხოვთ, მონიშნოთ შესაბამისი უჯრა)

1. სადავო ნორმატიული აქტის ტექსტი. ☒
2. „სასამართლოს მეგობრის“ მოსაზრების ელექტრონული ვერსია. ☒

ბ. სხვა დოკუმენტები:

1.
2.

მოსაზრების ავტორის ხელმოწერა:	თარიღი: